



სამართლიანი არჩევნები

3 ოქტომბერი, 2011

2011 წლის 2 ოქტომბრის შუალედური საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისა და არჩევნების დღის

პირველადი შეფასება

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” (ISFED) დააკვირდა 2011 წლის 2 ოქტომბრის პარლამენტის შუალედურ არჩევნებს თელავის #17 საარჩევნო ოლქში. წარმოგიდგინებთ ორგანიზაციის პირველად შეფასებებს წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების დღის მიმდინარეობის თაობაზე.

წინასაარჩევნო კამპანია

არჩევნებში მონაწილეობას 3 პოლიტიკური პარტიის კანდიდატი იღებდა, მათ შორის: #3 ვასილ არაბული, „თოფაძე - მრეწველები; #5 ვასილ დავითაშვილი, „პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; #10 ნიკოლოზ ლაშხი, „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები“. სამივე საარჩევნო სუბიექტმა აქტიური საარჩევნო კამპანია აწარმოა. წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად კანდიდატები უპირატესობას მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრებს ანიჭებდნენ.

საარჩევნო ადმინისტრაცია: “სამართლიანი არჩევნები” დადებითად აფასებს იმ გარემოებას, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში არ მოხვდნენ ის პირები, რომელთაც გასული საპარლამენტო, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს საარჩევნო სამართალდარღვევათა ჩადენის გამო სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

ზეწოლა ამომრჩეველზე: რაც შეეხება ზეწოლას ამომრჩეველზე წინასაარჩევნო კამპანიის დროს, “ქრისტიან დემოკრატიული პარტიის” წარმომადგენლების განცხადებით, სოფელ ქვემო ხოდაშენის ამომრჩევლებთან პარტიის წარმომადგენლების შეხვედრის შემდგომ შეხვედრაზე დამსწრე ერთ-ერთი მოქალაქის მიმართ სოფლის რწმუნებულის მხრიდან ზეწოლა განხორციელდა.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი
შარტავას ქ. 18

ტელ: (995 32) 2 370 814

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge

მედია: წინასაარჩევნო კამპანია შუქდებოდა ადგილობრივი მედია საშუალებების მიერ. საარჩევნო სუბიექტებს საშუალება ჰქონდათ ადგილობრივი ტელევიზიების ეთერით მიემართათ რაიონის ამომრჩეველთათვის.

არჩევნების დღე

ამომრჩეველთა აქტივობა და შედეგები: „სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა კენჭისყრის დაწყების მდგომარეობით შეადგენდა 56 907 ამომრჩეველს. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 35%-მა.

ორგანიზაციის ინფორმაციით, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: #3 ვასილ არაბული - ხმების 4.72%; #5 ვასილ დავითაშვილი - 84.33%; #10 ნიკოლოზ ლაშხი - 10.95%.

კენჭისყრის პროცედურა

არჩევნების დღემ უმეტესწილად მშვიდ გარემოში ჩაიარა, თუმცა, ცალკეულ უბნებზე შეინიშნებოდა დამაბულობა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და კომისიის წევრებს შორის.

ეროვნული უმცირესობები: კენჭისყრის პროცედურების ხარვეზები ყველაზე ხშირად სოფელ ყარაჯლის #37-ე, 38-ე, 39-ე და 54-ე უბნებზე შეიმჩნეოდა, სადაც ამომრჩეველთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ქართულ ენაზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების მეშვეობით ხმის დამოუკიდებლად მიცემას. საარჩევნო კაბინებში შესულ ამომრჩევლებს ოჯახის წევრების, ან უბანზე მოსული ამომრჩევლების დახმარება ესაჭიროებოდათ, რაც იწვევდა ხმის მიცემის პროცედურების არაორგანიზებულ რეჟიმში წარმართვას. უბნებზე მოსული ამომრჩევლები ხშირად მიუთითებდნენ ერთმანეთს, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტისთვის მიეცათ ხმა.

„სამართლიან არჩევნები“ მიიჩნევს, რომ ცესკომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობებით დასახლებული სოფლებისთვის ბიულეტენების მათთვის გასაგებ ენაზე დაბეჭდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნების დღეს ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება ვერ ხორციელდება.

სხვის ნაცვლად ხმის მიცემის მცდელობა: #52 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად ხმის მიცემის მცდელობა. აღნიშნული ფაქტი აღკვეთილ იქნა დამკვირვებლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ჩარევის შედეგად.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი
შარტავას ქ. 18

ტელ: (995 32) 2 370 814

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge

უბანზე გამოცხადებული ამომრჩევლების აღრიცხვა: 2010 წლის 30 მაისის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, დღესაც შეინიშნებოდა უბანზე გამოცხადებული ამომრჩევლების აღრიცხვის ფაქტები უბნის ტერიტორიაზე მყოფი პირების მიერ.

„სამართლიანი არჩევნები“ აღნიშნულ ფაქტებს განიხილავს, როგორც საარჩევნო კოდექსით აკრძალული ქმედებას - ამომრჩევლის კონტროლს. მსგავსმა ქმედებებმა, შესაძლებელია, ასევე, გავლენა იქონიოს ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოვლენაზე.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: უკანასკნელი არჩევნების მსგავსად, მასიურად შეინიშნებოდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებად აკრედიტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოხელეების ყოფნის ფაქტები. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია #28, 47, 50, 54-ე უბნები. დაკვირვებამ ცხადყო, რომ აღნიშნული პირებს თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებებსა თუ გადაწყვეტილებებზე.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მომავალ არჩევნებზე მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა მიერ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებად ყოფნის უფლებამოსილება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საარჩევნო კომისიების დამოუკიდებელი საქმიანობა არჩევნების დღეს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები: #42 საარჩევნო უბანი არ იყო მოწყობილი ეტლით მოსარგებლად ადამიანებისათვის, რის გამოც, უბანზე მისულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებს პრობლემები შეექმნა ხმის მიცემის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საარჩევნო ადმინისტრაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საარჩევნო უბნების იმდაგვარად მოწყობას, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალებას ხმის მიცემის უფლებით საარჩევნო უბანზე ისარგებლონ.

საჩივრები: ამ დროისათვის ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ დაწერილია ერთი საჩივარი #47 საარჩევნო უბანთან დაკავშირებით უბნის ბათლობისა და დამკვირვებლის პასუხისმგებლობის მოთხოვნით. საჩივარი წარდგენილია საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს 2 დღის ვადაში.

„სამართლიანი არჩევნები“ აკვირდება შედეგების შეჯამებას საოლქო საარჩევნო კომისიაში და არჩევნების საბოლოო შეფასებას საჩივრების განხილვისა და შედეგების ოფიციალურად შეჯამების შემდგომ წარმოგიდგენთ.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი
შარტავას ქ. 18

ტელ: (995 32) 2 370 814

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge